ევროკავშირი, ავსტრია და საქართველო: დაძმობილება ელექტროენერგიის ტარიფის მეთოდოლოგიის განახლებისთვის (E10/ENP-PCA/EY/11)

TWINNING

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm
www.e-control.at
www.gnerc.org
www.energy-twinning.at

E-CONTROL

Bundesnetzagentur

EXAA
Energy Exchange Austria

GNERC



ევროკავშირი შედგება 28 წევრი სახელმწიფოსგან, რომლებმაც გადაწყვიტეს ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ საკუთარი ცოდნა, რესურსები და ბედი. ერთად, გაფართოების 50 წლიანი პერიოდის განმავლობაში, მათ შეძლეს აეშენებინათ/შეექმნათ სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და იმავდროულად შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მიისწრაფვის გაუზუაროს საკუთარი მონაპოვარი და ღირებულებები მის საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ხალხსა და ქვეყნებს.

აღნიშნული ბროშურა გამოიცემა ევროკავშირის დახმარებით. ბროშურაში გამოთქმული მოსაზრებები მთლიანად ი-კონტროლის პასუხისმგებლობაა და არ ასახავს ევროკავშირის დამოკიდებულებას კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.

პროექტი განახორციელა

ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელმა უწყებამ

რუდოლფსპლატს 13ა

ტელ: +43 1 24724-0

ფაქსი: +43 1 24724-900

www.energy-twinning.at

პროექტის რეზიუმე

2011 წლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმეტი დაძმობილების პროექტი -„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“ მიზნად ისახავდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების, განსაკუთრებით მარეგულირებელი და ინსტიტუციური შესაძლებლობების, განმტკიცებასა და ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიაზე ერთობლივ მუშაობას.

პროექტის ფარგლებში ერთობლივად იქნა შემუშავებული ახალი წამახალისებელი მეთოდოლოგია ქართული რეალობის გათვალისწინებითა და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. ახალი მეთოდოლოგია საშუალებას აძლევს შესაბამის კომპანიებს განახორციელონ ინვესტირება ელექტროენერგიის ქსელში მისი განვითარების მიზნით. შემუშავდა რეკომენდაციები ახალი მეთოდოლოგიის იმპლემენტაციისთვის საწყის ეტაპზე და ბენეფიციარი ქვეყნის ექსპერტებს ჩაუტარდათ ტრეინინგები რეგულირების მეთოდების სწორ გამოყენებასთან დაკავშირებით. პროექტის მიზნები და სავალდებულო შედეგები სრულად და წარმატებით იქნა შესრულებული.

თუმცა საქართველომ, რომელიც გეგმავს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასა და ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებას უნდა გააგრძელოს იმ მოთხოვნების იმპლემენტაცია, რომლებიც ხელს უწყობს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის ზრდას და შემგომ დახვეწოს რეგულირების მეთოდოლოგიები. აღნიშნულის მისაღწევად, წევრი სახელმწიფოს აზრით, უნდა მოხდეს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება რეგულირების აუდიტის, ბაზრის მონიტორინგისა და ენერგეტიკული სტატისტიკის კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ გაზის ბაზარი არ არის იმდენად განვითარებული, რამდენადაც ელექტროენერგიის ბაზარი, უპრიანია სამუშაობის ჩატარება ამ მხრივაც.



მეტი ინფორმაცია მოიძიეთ ინტერნეტის საშუალებით

დაძმობილების პროექტი	www.energy-twinning.at
ევროკავშირი	http://europa.eu/index_en.htm
ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში	http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm
ევროკავშირის დაძმობილების პროექტები	http://ec.europa.eu/enlargement/tenders/twinning/index_en.htm
ენერგეტიკული თანამეგობრობა	http://www.energy-community.org
ი-კონტროლი ავსტრია	www.e-control.at
სემეკი	www.gnerc.org
ავსტრიის ენერგეტიკული ბირჟა	www.exaa.at
გერმანიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო	www.bundesnetzagentur.de
ლატვიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო	http://www2.sprk.lv/index.php?setl=2

პროექტის ლიდერების შემაჯამებელი სიტყვა

დაძმობილების პროექტი - „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“ ძალიან წარმატებული იყო. ყველა სავალდებულო ხასიათის მქონე შედეგი შემუშავდა და მიღწეულ იქნა ქართველი და ავსტრიელი პარტნიორების მჭიდრო თანამშრომლობით. ყველა მონაწილე გამოირჩეოდა მაღალი მოტივაციით და საკუთარი წვლილი - გამოცდილება, ცოდნა, უნარები, შეიტანა პროექტის წარმატებით დაგვირგვინებაში.

პროექტის მსვლელობისას მიღწეული შედეგები სიამაყითა და სიამოვნებით გვავსებს. რისი მიღწევაც შეძლო ი-კონტროლმა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ და დაძმობილების პროექტის სხვა პარტნიორებმა 21 თვის განმავლობაში, არის დაძმობილების პროექტის საუკეთესო გამოვლინება.

დაძმობილების პროექტის კონცეფცია ეფუძნება თანამშრომლობას და პროექტის დასაწყისიდან მოყოლებული სემეკისა და ავსტრიელი პარტნიორების თანამშრომლობამ საუკეთესო განვითარება ჰპოვა. ჩვენ თანაბარი სარგებელი ვნახეთ ახალი გამოცდილების შეძენით, ერთმანეთის კულტურისა და ცხოვრების სტილის გაცნობით. ასევე საფუძველი ჩავუყარეთ მეგობრობას, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

გვსურს მადლიერება გამოვხატოთ ევროკავშირის დახმარების კორდინაციის დეპარტამენტის, ევროკავშირის და საქართველოში მისი წარმომადგენლობისადმი, რომელთა მხარდაჭერა განუზომელი იყო პროექტის მსვლელობისას. ასევე გვსურს მივულოცოთ ყველა პარტნიორს პროექტით გათვალისწინებული შედეგების წარმატებით მიღწევა.

დიტმარ პრაინსტორფერორ
წევრი სახელმწიფოს მხრიდან პროექტის ლიდერი
ი-კონტროლი

გოჩა შონია
ბენეფიციარი ქვეყნის პროექტის ლიდერი
სემეკი

სარჩევი

პროექტის რეზუმე 2
სარჩევი 3
განმარტებები 5
მოკლე ინფორმაცია დაძმობილების პროექტის შესახებ 7
წინასიტყვაობა: ი-კონტროლი 9
წინასიტყვაობა: სემეკი 10
პროექტის ქვაკუთხედები 11
პროექტის სამიზნე 12
პროექტის სტრუქტურა და შინაარსი 13
კომპონენტი 0: სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები 15
კომპონენტი 1: შესაძლებლობების გაძლიერება 16
კომპონენტი 2: წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლება და შედარებითი ანალიზი 21
კომპონენტი 3: ტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული წინაპირობების შექმნა 27
პროექტის ლიდერების შემაჯამებელი სიტყვა 34
მეტი ინფორმაცია მოიძიეთ ინტერნეტის საშუალებით 35

BNetzA	გერმანიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო
CAPEX	კაპიტალური დანახარჯები
CPI	სამომხმარებლო ფასების ინდექსი
EnC	ენერგეტიკული თანამეგობრობა
ERRA	ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაცია
EU	ევროკავშირი
EUD	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
EXAA	ავსტრიის ენერგეტიკული ბირჟა
GNERC	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
ISET	თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
MS	წევრი სახელმწიფო
NRA	ეროვნული მარეგულირებელი ორგანო
OM	მხოლოდ მონიტორინგი
OPEX	ოპერაციული დანახარჯები
OWG	ორგანიზაციული სამუშაო ჯგუფი
PAO	ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტი
PL	პროექტის ლიდერი
PSC	პროექტის სამეთვალყურეო საბჭო
PUC	ლატვიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო
QoS	მომსახურების/მიწოდების ხარისხი
RAB	რეგულირებადი აქტივების ბაზა
RTA	მუდმივი უცხოელი მრჩეველი
RWG	მარეგულირებელი სამუშაო ჯგუფი
WACC	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება

მეთოდოლოგიები გადაცემის სისტემის ოპერატორის ან განაწილების (დისტრიბუციის) სისტემის ოპერატორის წინადადების საფუძველზე, ან აღნიშნული ოპერატორებისა და ქსელის მომხმარებლებთან შეთანხმებული წინადადების საფუძველზე. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისას, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაცემისა და განაწილების (დისტრიბუციის) ტარიფები იყოს არადისკრიმინაციული, ხარჯებზე ორიენტირებული. გარდა ამისა, იმავე დირექტივის მუხლი 12 თანახმად, დაყოფის ნებისმიერი სისტემა ეფექტურად უნდა სძლევდეს ინტერესთა კონფლიქტს მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და გადაცემის სისტემის ოპერატორებს შორის იმისათვის, რომ შექმნას მოტივაცია საჭირო ინვესტირებისათვის და უზრუნველყოს გარანტირებული წვდომა ბაზარზე ახალი წევრებისათვის გამჭვირვალე და ეფექტურად რეგულირებული რეჟიმის პირობებში და მარეგულირებელ ორგანოებს ზედმეტად არ დაუმძიმოს რეგულირების ამოცანა.

- მონაცემთა შეგროვების პროცედურების დაწყება
- ცენტრალური მონაცემთა ბაზის შექმნა
- გამოყენებულ იქნას სხვა ხელთარსებული ელექტრონული მართვის მომსახურება/სერვისები

მდგრადი განვითარება

ბენეფიციარი ქვეყნის მიერ მიღწეული შედეგების ფლობა და გრძელვადიანი რეკომენდაციები/წინადადები, რომლებიც შემუშავდა პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ:

- სემეკს შესწევს უნარი დახვეწოს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა
- სემეკს შესწევს უნარი გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული აქტივობები
- სემეკს მარტივად შეუძლია განახლებული მეთოდოლოგიით სიმულირება საჭირო მონაცემების შეგროვების შემდეგ.
- შემუშავდა შემდგომი ნაბიჯების იმპლემენტაციის პროცესი
- ექსპერტიზისა და გამოცდილების გაზიარება კვლავაც გაგრძელდება პროექტის დასრულების შემდგომ, ასევე სემეკის შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიან პერსპექტივაში

კომერციული ხარისხი

- არსებული რეგულირების წარმატებული და სრული იმპლემენტაცია

  საქართველოში გასული წლების განმავლობაში გადადგმულ იქნა პირველი ქმედითი ნაბიჯები კომერციული ხარისხის ეფექტიანი მარეგულირებელი ჩარჩოს შესაქმნელად. არსებობს გარკვეული დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი წესების სრულ იმპლემენტაციას/ აღსრულებას. სემეკისთვის ამჟამად მნიშვნელოვანია არსებული რეგულირების წარამტებული და სრული აღსრულების/ იმპლემენტაციის უზრუნველყოფა.

- ნორმატიული მაჩვენებლების, კომპენსაციების გადახდისა და ჯარიმების სისტემის შედარება ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ პრაქტიკასთან

- გარანტირებული გადასახადების და ჯარიმების დონე, რომელიც ასოცირიებულია საერთო სტანდარტებთან ისე უნდა იქნას განსაზღვრული, რომ მათ წაახალისონ კომპანიები კონკრეტულ ასპექტში მუშაობის უკეთესად შესასრულებლად და ამ გადასახადების თავიდან ასაცილებლად

- გადაიხედოს კომპანიების მიერ რეალურად შესრულებული სამუშაო (რეალური ეკონომიკური მაჩვენებლები) არსებულ რეგულირებაში ახალი მოთხოვნების ამოქმედებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ

- საკომპენსაციო გადასახადებისა და ჯარიმების კორექტირება, იმ შემთხვევაში თუ სტანდარტების მოთხოვნების (ნორმატიული მაჩვენებლების) შესრულების კუთხით წინსვლა არ შეინიშნება ან შეამციროს კომპანიის ნებადართული შემოსავლები ტარიფების კონტროლის შემდგომი პერიოდისთვის

შემდგომი ნაბიჯები

- იმპლემენტაციის პროცესისთვის შიდა განრიგის დადგენა

- სემეკში პასუხიმგებელობებისა და ფუნქციების ნათლად განსაზღვრა

- **ბაზრის მონაწილეებისთვის რეგულირების აქტივობების ნათლად და გამჭირვალედ გაზიარება/გადაცემა**

  ევროკავშირის დირექტივა 2009/72/EC მუხლი 36 თანახმად, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ ან დაამტკიცონ ტარიფები, ან ტარიფების გამოთვლის

ელექტროენერგიის რეგულირება გახლავთ სპეციალიზირებული საქმიანობა და ტარიფების დადგენისა და მეთოდოლოგიის დეტალების განხილვამდე სასურველია გადავხედოთ ფართოდ გამოყენებულ ტექნიკურ ტერმინებს.

ბუნებრივი მონოპოლია

ბუნებრივი მონოპოლიები დამახასიათებელია ე.წ. „პირველადი მომსახურების“ ბაზრებისთვის, რომელთაც მომსახურების ან საქონლის, როგორებიცაა წყალი, ელექტროენერგია, გაზი და ა.შ., მისაწოდებლად ესაჭიროებათ ძვირადღირებული ინფრასტრუქტურა.

მონოპოლიური ძალაუფლებით სარგებლობით თავიდან ასაცლებლად მთავრობა მიისწრაფვის მათი რეგულირებისაკენ.



სისტემის ოპერატორი

სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია ელექტროენერგიის ქსელის გამართულად ფუნქციონირებასა და შენახვაზე (მაგალითად: ხაზები და კაბელები ან ქვესადგურები), ასევე აღრიცხვასთან დაკავშირებულ ყველა სახის მომსახურებაზე - იქნება ეს - მრიცხველის დაყენება, შენახვა თუ აღრიცხვის წარმოება. სისტემის ოპერატორი ზრუნავს ენერგეტიკული აქტივობების მონოპოლიურ ნაწილზე, სწორედ ამიტომ ხდება მისი რეგულირება.

ენერგიის მიმწოდებელი

მიმწოდებელი ყიდულობს ან გამოიმუშავებს ელექტროენერგიას საკუთარ ელექტროსადგურში და მიაწვდის მას მომხმარებლებს. აუცილებელი არ არის მიმწოდებლის საქმიანობის რეგულირება, პირიქით მიწოდება შესაძლებელია იყოს კონკურენტული ბიზნესი, რაც თავისთავად გულისხმობს დაბალ ფასს ენერგიაზე.

ხარჯები პლუს რეგულირება

ხარჯები პლუს რეგულირება გახლავთ რეგულირებული კომპანიის მიერ მომხმარებლებისგან ანაზღაურებადი ხარჯების გამოთვლის მექანიზმი. ნებადართული შემოსავლები კონკრეტული პერიოდისთვის დამოკიდებულია დამტკიცებულ ისტორიულ ხარჯებზე. შესაბამისად, დამტკიცებული დანახარჯებით მუშაობა გულისხმობს, რომ არსებობს დროის მონაკვეთი, რომლის დროსაც ოპერატორი ახდენს გაწეული დანახარჯების ამოღებას (დანახარჯების გაწევიდან ორი წლის შემდეგ).

წამახალისებელი რეგულირება

წამახალისებელი რეგულირება გახლავთ ხარჯები პლუს რეგულირების ალტერნატიული ვარიანტი. ის შესაძლოა განმარტებულ იქნას, როგორც ჯილდოებისა და ჯარიმების კეთილგონივრული გამოყენება საქმიანობისა და ხარჯების ეფექტიანობის წასახალისებლად. ამჟამად ის უახლესი მიდგომაა, რომელსაც აქტიურად იყენებენ ევროპულ ქვეყნებში.



ძაბვის ხარისხი მოიცავს ელექტროენერგიის ხარისხს წყვეტის არ არსებობის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი ძალიან დაბალია ელექტრონული აღჭურვილობის გამოყენებისას თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემები, რაც იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებას. მომხმარებელთა დასაკმაყოფილებლად მარეგულირებელმა ორგანომ მონიტორინგი უნდა გაუწიოს ძაბვის ხარისხს და სტანდარტების დარღვევის ან დაცვის შემთხვევაში დააჯარიმოს ან სტიმულები დაუწესოს კომპანიებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მარეგულირებელმა ორგანომ უნდა დანერგოს ძაბვის ხარისხის შესახებ კომპანიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების სიზუსტის შესამოწმებლად აუდირების ჩატარების სისტემა

მიწოდების უწყვეტობა

- მიწოდების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს საერთო და/ან გარანტირებული სტანდარტების დაწესება მომხმარებლებისთვის

- საჯარიმო სისტემის შემოღება ჯარიმის იმ ოდენობით, რომელიც დისტრიბუციის კომპანიებს წაახალისებს და არ შეუქმნის საფრთხეს ინვესტიციების განხორციელებას

- **ზუსტი ისტორიული მონაცემთა პაკეტის შექმნა**

  მარეგულირებელი ინსტრუმენტები ქმნიან ზოგადი რეგულირების ინსტრუმენტების მთელ პაკეტს, რომლეთაგან მარეგულირებელი უწყება ირჩევს ერთ-ერთს საკუთარი მიზნების შესაბამისად. მარეგულირებელი ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლოა შეიზღუდოს გაზომვადი ინდიკატორების ხელმისაწვდომობისა და სანდოობის ფაქტორით. პირველი ნაბიჯი უნდა იყოს სანდო მონაცემთა შეგროვების უზრუნველყოფა და ქსელის ოპერატორებისთვის სავალდებულო ხასიათის ინსტრუქციების შემოღება. აღნიშნული შესაძლოა აღმოჩნდეს ყველაზე მარტივი გზა ხარისხის რეგულირების სისტემის დასახვეწად, ვინაიდან ძირითადი მონაცემების ხარისხი და სანდოობა ერთ-ერთი წინაპირობაა ქმედითი მარეგულირები სისტემის განვითარებისა და განხორციელებისათვის.

- წამახალისებელი სისტემის შემოღება გრძელვადიან პერსპექტივაში

- მონაცემთა აუდიტის განხორციელება მონაცემთა სანდოობის დადგენის მიზნით

გრაფიკული გამოსახულებან: გუდაურის ჰიდროელექტრო სადგური, შპს ენერგო არაგვი

ძაბვის ხარისხი

- სემეკი პასუხისმგებელია ძაბვის ხარისხის რეგულირებაზე და ის ფლობს მონიტორინგისა და აღსრულების შესაბამისი უფლებამოსილებას
- ძაბვის ხარისხის სტანდარტების განსაზღვრა/დადგენა
- საწყის ეტაპზე არსებული ძაბვის ხარისხის სტანდარტებზე დაყრდნობა
- ქსელის მუშა პარამეტრების შესაბამისობა ძაბვის არსებულ სტანდარტებთან მიმართებაში
- ძირითადად სემეკმა უნდა მიმართოს მხოლოდ მონიტორინგის (OM) სტანდარტებს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფიზიკური ზარალი მიადგება მომხმარებელის აჭღურვილობას
- კომპანიებს უნდა დაევალოთ შემოიღონ ადეკვატური ავტომატური მონიტორინგის მექანიზმები ყველა ძაბვის საფეხურებისთვის
- კომპანიებიდან შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშები დადგმული მონიტორინგის ხელსაწყოების საშუალებით.
- **ძაბვის ხარისხის შესახებ კომპანიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების სიზუსტის შესამოწმებლად აუდირების ჩატარების სისტემის შემოღება**

მოკლე ინფორმაცია დაძმობილების პროექტის შესახებ

სათაური	**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით**
პარტნიორები	ბენეფიციარი: **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)** ლიდერი წევრი სახელმწიფო: ი-კონტროლი (ავსტრია) თანამონაწილეები: გერმანიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო (BNetzA, Germany) ლატვიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო (PUC, Latvia) ავსტრიის ენერგეტიკული ბირჟა (EXAA, Austria)
ხანგრძლივობა	21 თვე ადგილზე (23/09/2012 - 22/06/2014) მთლიანი ხანგრძლივობა 24 თვე
ბიუჯეტი	1.1 მილიონი ევრო (დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ)
მთავარი მოქმედი პირები	პროექტის ლიდერი წევრი სახელმწიფოს მხრიდან: დიტმარ პრაინსტორფერი (ი-კონტროლი) პროექტის ლიდერი ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან: გოჩა შონია (სემეკი) პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველი: ესტერ შულე (ი-კონტროლი) პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩევლის კოლეგა ნუგზარ ბერიძე (სემეკი)

კომპონენტები	კომპონენტი 0:	პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები
	კომპონენტი 1:	შესაძლებლობების გაძლიერება და პროექტის მენეჯმენტი
	კომპონენტი 2:	წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განვითარება და შედარებითი ანალიზი
	კომპონენტი 3:	ტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული წინაპირობების შექმნა
სამუშაო ჯგუფები	ოსჯ	ორგანიზაციული სამუშაო ჯგუფი
	მსჯ	მარეგულირებელი სამუშაო ჯგუფი
	სსჯ	სამართლებრივი სამუშაო ჯგუფი
სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები	წევრი სახელმწიფოს ოსჯ-ს ლიდერი	შტეფან ვურცნერი
	ბენეფიციარი ქვეყნის ოსჯ-ს ლიდერი	ქეთევან ბერიკაშვილი
	წევრი სახელმწიფოს მსჯ-ს ლიდერი	ლეო კამერდინერი
	ბენეფიციარი ქვეყნის მსჯ-ს ლიდერი	გიორგი ფანგანი
	წევრი სახელმწიფოს სსჯ-ს ლიდერი	იოჰანეს მრაზეკი
	ბენეფიციარი ქვეყნის სსჯ-ს ლიდერი	მალხაზ ძიძიკაშვილი

ფუნქციონალური თავსებადობის მიღწევა ინტერნეტის სხვა ინსტუმრნეტბსა და კომპიუტერულ პროგრამას შორის. აღნიშნულ შემთხვევაში, რეკომენდირებული სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა ფინანსური სინერგიების გამოყენებისა და ქმედუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

- მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შიდა პრცედურების გადახედვა-განახლება

- სიღრმისეული ანალიზი მონაცემთა საჭიროებისა და ანალიზის მეთოდების ჰარმონიზების მიზნით

- შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: დაშვების უფლება, მონაცემთა უტყუარობა, თავსებადობა, ხარჯები, გაფართოების შესაძლებლობა გარე მონაცემთა გაცვლის შემთხვევაში

  გარე მონაცემთა გაცვლისთვის კომპიუტერული პროგრამის შესყიდვისას უნდა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ნაბიჯები, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო წინააღმდეგობები მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში:

  <u>დაშვების უფლება</u> - უნდა მოხდეს ჯგუფის განსაზღვრა, რომელსაც ექნება დაშვების უფლება.

  <u>მონაცემთა უტყუარობა</u> - უნდა შემოღებულ იქნას მონაცემთა უტყუარობის შემოწმების ავტომატიზირებული სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემთა ხარისხი.

  <u>თავსებადობა</u> - უნდა იქნას უზრუნველყოფილი მარეგულირებელ ორგანოსა და რეგულირებული კომპანიების მიერ გამოყენებული კომპიუტერული პროგამების თავსებადობა.

  <u>ხარჯები</u> - დანახარჯების მინიმუმადე დაყვანის მიზნით უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფო უწყებებთან სინერგია

  <u>გაფართოების შესაძლებლობა</u> - იქიდან გამომდინარე, რომ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი დამოკიდებულია ენერგეტიკის მარეგულირებელ ჩარჩოზე, კომპიუტერული პროგრამის გაფართოების შესაძლებლობა უნდა იქნას გათვალისწინებული

შედეგები

- მონაცემთა განსაზღვრის, მონაცემთა ფორმების, ხარისხის შესახებ ანგარიში
- არსებული მომსახურების ხარისხის რეგულირების შეფასებითი ანგარიში
- რეკომენდაციები ტარიფების სიმულირებასთან დაკავშირებით
- რეკომენდაციები მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესახებ
- დასკვნები ლიცენზიანტებთან გამართული შეხვედრებიდან
- საქართველოში მომსახურების ხარისხის რეგულირების შესახებ სარეკომენდაციო ანგარიში
- რეკომენდაციები შემდგომი საქმიანობისთვის

რეკომენდაციები

მონაცემთა ორგანიზება

- რეგულირების მიზნებისთვის სისტემატიურად მოხდეს მონაცემთა შეგროვება მონაცემთა პირველწყაროსგან (მფლობელისგან) და მათი შენახვა რედაქტირებად ელექტრონულ ფორმებში
- წარმოდგენილ მონაცემთა შემოწმება უტყუარობაზე
- სტრუქტურირებული მონაცემთა მიმოქცევის შემოღება-განხორციელება
- მარტივი, სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენება
- რეგულირებეული კომპანიების მიერ მონაცემთა წარდგენა რედაქტირებად ელექტრონულ ფორმატში (მაგ. ექსელში)
- **შიდა ქსელის შექმნა და მონაცემთა შენახვის უზრუნველყოფა ცენტრალიზებულად**

  შიდა ქსელის შექმნა და მონაცემთა შენახვის ცენტრალიზებულად უზრუნველყოფა (იგი ხელმისაწვდომია სემეკის ყველა თანამშრომლისთვის) უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შესაბამისი სტანდარტის შესაქმნელად აუცილებელია, რომ სემეკის კომპიუტერული აღჭურვილობა ერთგვაროვანია კომპიუტერულ პროგრამაზე წვდომის თვალსაზრისით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან აუცილებელია

ბროშურაში თავმოყრილია ძირითადი აქტივობები და შედეგები, რომელებიც მიღწეულ იქნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტის - „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“ განხორციელებისას. პროექტი ემსახურებოდა სემეკის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ელექტროენერგიის სფეროში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაგეგმილი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისა და 2014 წელს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანების კვალდაკვალ, დაძმობილების პროექტი დროული დახმარება აღმოჩნდა ჩვენი პარტნიორებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპის დასაძლევად. ი-კონტროლ კმაყოფილებას ვერ მალავს, რომ მუშაობის პროცესში შეძლო ქართველი კოლეგების ნდობის მოპოვება და წარმატებით გაუზიარა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიღწეული პროგრესის განხორციელება მომდევნო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები გვარწმუნებს, რომ სემეკი შეძლებს აღნიშნული სირთულეების დაძლევას და წარმატებით განაგრძობს სვლას ევროკავშირთან დაახლოებისაკენ.

აღნიშნულმა პროექტმა მოგვცა შესაძლებლობა ჩვენი წვლილი შეგვეტანა ქართული ელექტროენერგიის ბაზრის რეგულირების რეფორმირების საქმეში ქართველი მომხმარებლების საკეთილდღეოდ.

ჩვენ მოუთმენლად ველით გავაგრძელოთ ურთიერთობა ჩვენს ქართველ კოლეგებთან ევროკავშირის ინსტიტუტების ფარგლებში, როგორებიცა ენერგეტიკული თანამეგობრობა და თანამშრომლობის სხვა ფორმები.

ვალტერ ბოლცი

აღმასრულებელი დირექტორი

ი-კონტროლი

მარტინ გრაფი

აღმასრულებელი დირექტორი

ი-კონტროლი

ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობა და ურყევი ნება-მისწრაფება რეფორმებისადმი გზა ხსნილი აქვთ პროგრესისა და კეთილდღეობისაკენ.

ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციას თან ახლავს გარკვეული ხასიათის გამოწვევები და სირთულეები. დაძმობილების პროექტი - „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“, რომელიც განხორციელდა ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს ი-კონტროლის ხელმძღვანელობით, მიზნად ისახავდა კომისიის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, პროექტი ითვალისწინებდა დახმარების გაწევას ელექტროენერგიის ბაზრის რეგულირების მიზნით ევროკავშირის წესებისა და სტანდარტების შემოღებისა და განხორციელების საქმეში.

2012 წლის სექტემბერში ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით სავსე გარემოსთან ერთად ჩვენ დავხვდით დაძმობილების პროექტს სრულ მზადყოფნაში, რომ გვემუშავა თავდაუზოგავად, რათა ქართული რეგულირება შესაბამისობაში მოგვეყვანა ევროკავშირის მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან. გასული 21 თვის განმავლობაში, ქართული მხარე აქტიურად იყო ჩართული პროექტით გათვალისწინებულ ყველა აქტივობაში, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეძლია ჩვენს წინაშე მდგარი გამოწვევები და მიგვეღწია დასახული მიზნებისთვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა, რომელიც შევიძინეთ ჩვენი ავსტრიელი და პროექტში ჩართული სხვა პარტნიორებისგან ძალიან წაგვადგება მომავალშიც.

ბოლოს, მინდა მადლიერება გამოვხატო ევროკავშირის მიმართ აღნიშნული პროექტის დაფინანსებისთვის, ასევე პროექტის მთელი გუნდისა და მისი თითოეული მონაწილისადმი მათ მიერ გამოჩენილი უზარმაზარი ძალისხმევისა და მონდომებისთვის, რამაც განაპირობა აღნიშნული პროექტის წარმატება და იმ შედეგების მიღწევა, რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ ბროშურაში.



ირინა მილორავა

თავმჯდომარე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

აღნიშნული კომპონენტის მიზანი იყო:

- განახლებული წამახალისებელი მეთოდოლოგიის შემოწმების მიზნით სიმულაციური სატარიფო მოდელის მომზადება
- მომსახურების ხარისხის დასახვეწად სემეკისთვის დახმარების გაწევა
- უფრო მეტად ორგანიზაებული და ინტეგრირებული მონაცემთა და ინფორმაციის მართვის სიტემების შექმნისთვის რეკომენდაციების მომზადება
- პროექტის დასრულების შემდეგომი ღონისძიებები

ორგანიზაცია

კომპონენტი შედგებოდა შვიდი აქტივობისგან:

1. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სემეკში არსებული სისტემები/პრაქტიკა მონაცემთა განსაზღვრასთან მიმართებაში
2. არსებული მომსახურების/მიწოდების ხარისხის რეგულირება და შესაბამისი პროგრამა, რომელიც დახვეწის პროცესშია
3. ტარიფების სიმულაციური მოდელი
4. რეგულირების მიზნებისთვის მონაცემთა და ინფორმაციის მართვისა და მომსახურების ხარისხის რეგულირებისა და მონიტორინგისადმი მიძღვნილი სასწავლო ტური იტალიასა და სლოვენიაში
5. რეგულირების მიზნებისთვის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა
6. მომსახურების ხარისხის რეგულირების/მონიტორინგის მიმდინარე საპილოტე სისტემა
7. პროექტის საერთო რეკომენდაციები შემდგომი ნაბიჯებისთვის

ჯამში კომპონენტი 3 მოიცავდა 12 მოკლევადიანი ექსპერტის მიერ 23 მისიის ფარგლებში განხორციელებულ 94,5 საექსპერტო დღეს.

ძირითადი ამოცანები

გაუმჯობესებული ელექტროენერგიის რეგულირება, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვას და ფუნქციონირებს ევროკავშირის სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

პროექტის ზოგადი მიზნები

წამახალისებელი ელექტროენერგიის სატარიფო რეგულირების განახლება და რეკომენდაციების შემუშავება მისი საწყისი განხორციელებისთვის

პროექტის ძირითადი სამიზნეები

- შესაძლებლობების გაძლიერება
- ელექტროენერგიის მრავალწლიანი წამახალისებელი რეგულირებისთვის მეთოდოლოგიის განახლება
- შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიის პროექტის შემუშავება/ განვითარება
- სემეკის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ამჟამად მოქმედი სისტემის განვითარებაში დახმარების გაწევა
- მომსახურების ხარისხის რეგულირების საპილოტე სისტემის განახლების მიზნით წინადადებების შემუშავება
- ტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული წინაპირობების შექმნა





გრაფიკული გამოსახულება1: პროექტის თაიმლაინი ძირითადი სამიზნეებით

გრაფიკული გამოსახულება 5:

მასიმო ლამბარდინი, ევროკომისია, მარტინ გრაფი, ი-კონტროლი, აღმასრულებელი დირექტორი, დიტმარ პრაინსტორფერი, წევრი ქვეყნის პროექტის ლიდერი, ი-კონტროლი, ნუგზარ ბერიძე, მუდმივი უცხოელი მრჩევლის კოლეგა, სემეკი

მდგრადი განვითარება

კომპონენტი 2 ფარგლებში მიღწეული შედეგები და რეკომენდაციები ხელს უწყობს ევროკავშირის წესებისა და სტანდარტების დამკვიდრებას რეგულირების სფეროში და მოიცავს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს, ასევე ხელს უწყობს საქართველოს გაწევრიანებას ენერგეტიკულ თანამეგობრობაში:

- ზემოთ მოყვანილი ყველა ინსტრუმენტი და დეტალი ეფუძნება ევროკავშირის მოთხოვნებს და იმავდროულად მორგებულია ქართულ რეალობაზე და ხელს უწყობს ინვესიციების მოზიდვას. შემოთავაზებული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები იქნება
    - არადისკრიმინაციული
    - ხარჯებზე ორიენტირებული
    - ეფექტიანი მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და გადაცემის სისტემის ოპერატორებს შორის ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრაში
    - შექმნის სტიმულებს აუცილებელი ინვესტიციების გაანსახორციელებლად
    - შექმნის გამჭვირვალე და ეფექტიან რეგულირების რეჟიმს



გრაფიკული გამოსახულება2: პროექტის სტრუქტურა

ზოგადად, კონტროლირებადი დანახარჯები ასახავს ქსელით ოპერირების ძირითად არეებს. ეს არის დანახარჯები, რომლებზეც პირდაპირი გავლენა აქვს თავად ქსელურ კომპანიებს - მაგალითად შენახვისა და შეკეთების/რემონტის დანახარჯები, პერსონალის დანახარჯები და ა.შ. ეფექტიანობის გაზრდის ხარჯზე შესაძლებელია აღნიშნული ხარჯების შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ტარიფის შემცირებას მომხმარებლების სასარგებლოდ. რეკომენდირებულია, რომ მოხდეს კონტროლირებადი OPEX-ის რეგულირება გრძელვადიანი და სტაბილური წახალისებაზე ორიენტირებული მოდელით.

- ცალკე/დამატებითი წამახალისებელი მექანიზმი ქსელური დანაკარგების ხარჯებზე
- ზღვრული ფასების რეგულირების იმპლემენტაცია
- მონაცემთა შეგროვების სქემაზე დაფუძნებული ხარჯების აუდირებისა და ხარჯების ალოკაციის დახვეწილი მეთოდოლოგიების გამოყენება
- X-ფაქტორის (Xgen+) შეფასება უნდა მოიცავდეს ზოგად და ინდივიდუალურ კომპონენტს
- Xgen-ის შეფასება საერთაშორისო შედარებასა და შესაბამისი კვლევებით გამყარებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მეშვეობით
- ინდივიდუალური კომპონენტის შეფასება ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მეშვეობით, რომელიც გამყარებულია აქტივობაზე დაფუძნებული ხარჯების აღირცხვის მიდგომით
- ინფლაციის დაკორექტირება სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (CPI)
- ამ ეტაპზე რეგულირების ფორმულაში არ შედის მიწოდების უწყვეტობა
- ამ ეტაპზე რეგულირების ფორმულაში არ შედის ძაბვის ხარისხი



რეკომენდაციები

- **რეგულირებადი აქტივობებისა და დანახარჯებისა და სამართლებრივი დაყოფის მოთხოვნების ზუსტი განმარტება, ასევე ხარჯების ალოკაციის შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოქვეყნება**

  ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებისა და ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების საქმიანობის დაყოფა. დაყოფა გულისხმობს შესაბამისი აქტივობებისთვის ხარჯების იმგვარ ალოკაციას, რომ შესაძლებელი ხდება შესაბამისი დანახარჯების სხვდასხვაგვარად ასახვა/მოპყრობა.

- მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის დახვეწა სემეკის მიერ

- 3 წლიანი რეგულირების პერიოდი (1.1.2015 -31.12.2017)

- **ხარჯები პლუს რეგულირების გამოყენება კაპიტალურ დანახარჯებთან (CAPEX) მიმართებაში**

  შემოთავაზებული მეთოდოლოგიის ერთ-ერთი უმათავრესი ამოცანაა ელექტორენერგიის ქსელებში საჭირო ინვესტიციების განსახორციელებლად სტიმულების შექმნა. აღნიშნულის მისაღწევად დანახარჯების ყოველწლიურ აუდიტზე დაფუძნებული ხარჯები პლუს რეგულირება უნდა იქნას გამოყენებული კაპიტალურ დანახარჯებთან მიმართებაში. ზოგადად, უნდა განხორციელდეს კაპიტალური დანახარჯების ყოველწლიური შეფასება, ისევე როგორც დაგეგმილი ღირებულების მომავალ წლებთან მიმართებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ეგრეთ წოდებული T-2 პრობლემა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას. ხარჯები პლუს მიდგომის გამოყენება კაპიტალური დანახარჯებთან მიმართებაში ამჟამად, არ გამორიცხავს, რომ სამომავლოდ არ იარსებებს მსგავსი ხარჯების ეფექტიანობის განსაზღვრა. მნიშვნელოვანია რეგულირებული კომპანია აცნობიერებდეს, რომ მათ ეფექტიანად უნდა მოახდინონ ინვესტირება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ამჟამად ხარჯები პლუს მიდგომა გამოიყენება.

- არაკონტროლირებადი ოპერაციული (OPEX) დანახარჯების რეგულირება ყოველწლიური ხარჯების აუდირების მეშვეობით

- **კონტროლირებადი ოპერაციული დანახარჯების (OPEX) რეგულირება წინასწარ განსაზღვრული პერიოდისთვის წინასწარ დადგენილი დანახარჯების მრუდის მეშვეობით**

3. შედარებითი ანალიზის გამოყენება წახალისებაზე ორიენტირებული რეგულირებისას

4. ორი სასწავლო ტური ეროვნულ მარეგულირებელ უწყებებში ორ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში

5. ელექტროენერგიის მრავალწლიანი წამახალისებელი რეგულირებისთვის მეთოდოლოგიის განახლება

6. შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება

7. მრგვალი მაგიდა და რეკომენდაციები დაინტერესებული პირებისათვის

8. მეთოდოლოგიის პროექტის განხილვა კონფერენციაზე და რეკომენდაციები მის შესაძლო დახვეწაზე

9. წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიისა და შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება განხილვებისა და რეკომენდაციების შედეგებზე ფოკუსირებით

ჯამში კომპონენტი 2 მოიცავდა 14 მოკლევადიანი ექსპერტის მიერ 33 მისიის ფარგლებში განხორციელებულ 152 საექსპერტო დღეს.

შედეგები, რეკომენდაციები და მდგრადი განვითარება

შედეგები

დაძმობილების პროექტის კონტრაქტის შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში მიღწეულ იქნა შედეგების მთელი სპექტრი:

- ტექნიკური ანგარიში არსებული სატარიფო სისტემისა და სემეკის მიერ გამოყენებული რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ
- რეკომენდაციები მონაცემთა შეგროვების ფორმების და მონაცემთა ბაზის ორგანიზების შესახებ
- შეფასებითი ანგარიში საქართველოში შედარებითი ანალიზის ტექნიკის გამოყენების შესახებ
- რეკომენდაციები მრავალწლიანი წამახალისებელი სატარიფო რეგულირებისთვის
- რეკომენდაციები შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიისთვის
- რეკომენდაციები მრგვალი მაგიდის დროს მიმდინარე დისკუსიიდან გამომდინარე
- რეკომენდაციები მეთოდოლოგიის პროექტების ირგვლივ

კომპონენტი 0: სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები

კომპონენტი 0 ფარავდა პროექტის ადმინისტრაციულ მხარეს და მოიცავდა სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებს, რომლის განხლივის მთავარი საგანი გახლდათ მიღწეული პროგრესი, არსებული ვითარება და საჭიროების შემთხვევაში პროექტის გეგმაში შესაბამისი ცვლილების შეტანა, ხელთარსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენება. პროექტის მსვლელობის განმავლობაში, სემეკი უმეტესწილად არ იყო განთავსებული დედაქალაქში, აქედან გამომდინარე აღნიშნული კომპონენტი ასევე მოიცავდა მუდმივი უცხოელი მრჩევლის თანამშრომლობას სხვა დაინტერესებულ პირებთან, რომლებიც თბილისში მდებარეობდნენ.

აღნიშნული კომპონენტის სამიზნეები გახლდათ:

- პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს (პსს) 7 შეხვედრის ორგანიზება
- შეხვედრები, თანამშრომლობა დაინტერესებულ პირებთან
- მუდმივი უცხოელი მრჩევლის მიერ პროექტის წარმოდგენა კონფერენციებზე

წევრი სახელმწიფოს პროექტის ლიდერმა საქართველოში გაატარა 7 საექსპერტო დღე ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად.

პროექტის სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი წევრებისგან შედგებოდა:

თავმჯდომარე

თანა-თავმჯდომარე

დიტმარ პრაინსტორფერი, ი-კონტროლი (წევრი სახელმწიფო ავსტრია)

თანა-თავმჯდომარე

გოჩა შონია, სემეკი (ბენეფიციარი ქვეყანა)

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

კამილა აბერგი (საწყისი პსს)

მიშელ ჟამბუ (საწყისი და პირველი პსს)

ფრანჩესკა მაზუკო (მეორე და მესამე პსს)

მურიელ ლამბერტ დე რუვროა (მეოთხე და შემდგომი პსს)

ევროკავშირის დახმარების კორდინაციის დეპარტამენტი (PAO) /საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

რომან კაკულია

დავით კალატოზიშვილი

ევროკავშირის დახმარების კორდინაციის დეპარტამენტის მხარდამჭერი პროექტი

ეკა ბარამიძე

სემეკი

გოჩა შონია, პროექტის ლიდერი

ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან

ნუგზარ ბერიძე, მუდმივი უცხოელი მრჩევლის კოლეგა

ი-კონტროლი

დიტმარ პრაინსტორფერი, პროექტის ლიდერი წევრი სახელმწიფოს მხრიდან

შტეფან ვურცნერი, ექსპერტი

კატერინა ტაპაინერი, ექსპერტი

დაძმობილების პროექტის გუნდი საქართველოში

ესტერ შულე, მუდმივი უცხოელი მრჩეველი

ელენა გაბედავა, პროექტის თარჯიმანი

ნინო ნიკოლეიშვილი, მუდმივი უცხოელი მრჩევლის თანაშემწე

კომპონენტი 1: შესაძლებლობების გაძლიერება

აღნიშნული კომპონენტის მიზანს წარმოადგენდა:

- საქართველოში ელექტროენერგიის სექტორში არსებული მარეგულირებელი ჩარჩოსა და ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასება
- რეგულირების მეთოდოლოგიის ირგვლივ ტრეინინგების ჩატარება და სემეკის ცოდნის გაღრმავება
- ენერგეტიკულ ტერმინოლოგიაზე ფოკუსირებული ინგლისური ენის სწავლების ორგანიზება
- ევროკავშირის ძირითადი ენერგეტიკული სამართლებრივი აქტების ინგლისურიდან ქართულად, ხოლო ქართული კანონმდებლობის ქართულიდან ინგლისურად თარგმნის ორგანიზება
- ცნობდაობის ამაღლება და პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების გავრცელება

ორგანიზაცია

კომპონენტი 1 შედგებოდა შემდეგი 16 აქტივობისგან:

1. პროექტის გახსნისადმი მიძღვნილი კონფერენცია
2. პროექტის დახურვისადმი მიძღვნილი კონფერენცია
3. სემეკის სამართლებრივი, ინსტიტუციური და მარეგულირებელი შესაძლებლობების შეფასება

კომპონენტი 2: არსებული სატარიფო მეთოდოლოგიის განახლება და შედარებითი ანალიზი

მეორე კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობები დაეხმარა სემეკს გადასულიყო ელექტროენერგიის სექტორში მომსახურების ხარჯები პლუს ტიპის რეგულირებიდან წახალისებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე

- სემეკის მიერ გამოყენებული არესებული სატარიფო და ფასწარმოქმნის რეგულირების მეთოდოლოგიის შეფასებითა და შემდგომი სრულყოფისთვის სხვადასხვა ვარიანტის შეთავაზებით ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად
- ელექტროენერგიის მრავალწლიანი წამახალისებელი რეგულირებისთვის მეთოდოლოგიის განახლებით
- რეკომენდაციების დაინტერესებულ პირებთან ერთად განხილვით

გრაფიკული გამოსახულება 4:

კარინ შტუბენვოლი და აინარს მენგელსონსი (წევრი სახელმწიფოების ექსპერტები)

ორგანიზაცია

აღნიშნული კომპონენტი შედგებოდა ცხრა აქტივობისგან:

1. არსებული სატარიფო სისტემისა და სემეკის მიერ გამოყენებული რეგულირების მექანიზმების შეფასება და შესაძლო განვითარება ევროკავშირის სამართლებრივი აქტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად
2. ტექნიკური და ეკონომიკური მონაცემებისთვის, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამომავლოდ მონაცემთა ბაზის ორგანიზებისთვის შესაბამისი მონაცემებისა და მათი ფორმების ხელმისაწვდომობა

მდგრადი განვითარება

კომპონენტი 1 ფარგლებში მიღწეული შედეგები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბენეფიციარი ქვეყნის სამომავლო საქმიანობასა და უზრუნველყოფს გრძელვადიანი დადებითი ეფექტის მიღწევას. კომპონენტი 1 მოიაზრებს მდგრადი განვითარების შემდეგ ასპექტებს:

- მასალა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბენეფიციარი ქვეყნის ინსტიტუციური ჩარჩოსა და მარეგულირებელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

- ტრეინინგის დროს გამოყენებული მასალები და ანგარიშები რეგულირების ტექნიკის საუკეთესო პრაქტიკების შესახებ დაეხმარება ბენეფიციარ ქვეყანას მოიყვანოს ელექტროენერგიის რეგულირება ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

- ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტთან დაკავშირებული მასალები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბენეფიციარი ქვეყნის თანამშრომლების შიდა გადამზადებისათვის.

- კომპონენტის ფარგლებში განხილული საკითხები მნიშვნელოვანია სემეკის მარეგულირებელი შესაძლებლობების გაძლიერებისათვის და საქართველოს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებისათვის.



4. საჭირო პროფესიული უნარების ანალიზი

5. სამი შესავალი სემინარი პროექტის ძირითად კონცეფციებზე

6. ენერგეტიკულ ტერმინოლოგიაზე ფოკუსირებული ინგლისური ენის სწავლება სემეკის წამყვანი დეპარტამენტებისთვის

7. ტრეინინგი I რეგულირების მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილებზე: მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოყენებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) გამოთვლისა და დამტკიცების მიდგომები

8. ტრეინინგი II რეგულირების მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილებზე: რეგულირებადი აქტივების ბაზა და სამომავლო კაპიტალდაბანდებები

9. ტრეინინგი III რეგულირების მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილებზე: ევროპელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოყენებული შედარებითი ანალიზის სხვადასხვა მიდგომები და ტექნიკა

10. ტრეინინგი IV რეგულირების მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილებზე: ევროპელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ხარჯების ეფექტიანობის მრუდისა და X ეფექტიანობის ფაქტორის განსასაზღვრად გამოყენებული მიდგომები

11. ტრეინინგი V რეგულირების მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილებზე: რეგულირების მიზნით მონაცემთა შეგროვება და ანალიზი და ევროპელი მარეგულირებლების მიერ გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა მომსახურების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით

12. შიდა ელექტრონული ბიბლიოთეკა და ელექტრონული მონაცემთა ბაზა

13. ევროკავშირის ძირითადი ენერგეტიკული სამართლებრივი აქტების ინგლისურიდან ქართულად, ხოლო ქართული კანონმდებლობის ქართულიდან ინგლისურად თარგმნა

14. ერთ კვირიანი სასწავლო ტური ავსტრიაში ელექტროენერგიის სექტორში ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან ჰარმონიზაციის პროცესის, ასევე ტარიფების რეგულირების, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, მომსახურების ხარისხის ასპექტებთან მიმართებაში ი-კონტროლის სამუშაო მეთოდებისა და პროცედურების უკეთ გასაცნობად

15. სასწავლო ვიზიტები ენერგეტიკის რეგულირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად

16. თვალსაჩინოებების მომზადება

ჯამში კომპონენტი 1 მოიცავდა 23 მოკლევადიანი ექსპერტის მიერ 53 მისიის ფარგლებში განხორციელებულ 170.5 საექსპერტო დღეს.

შედეგები, რეკომენდაციები და მდგრადი განვითარება

შედეგები

დაძმობილების პროექტის კონტრაქტის შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში მიღწეულ იქნა შედეგების მთელი სპექტრი:

- სემეკის სამართლებრივი, ინსტიტუციური და მარეგულირებელი შესაძლებლობების შეფასების შესახებ ანგარიში
- სემეკის პროფესიული უნარების საჭიროების ანალიზის შესახებ ანგარიში
- მასალები დაძმობილების პროექტის, ევროკავშირსა და ავსტრიაში სამართლებრივი, მარეგულირებელი და ბაზრის განვითარების შესახებ
- ანგარიშები კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების, რეგულირებადი აქტივების ბაზისა და სამომავლო კაპიტალდაბანდებების შესახებ
- ანგარიშები შედარებითი ანალიზისა და X ფაქტორის განსაზღვრის შესახებ
- მასალები წევრი სახელმწიფოების გამოცდილებაზე მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისას
- მომსახურების ხარისხის რეგულირების შესახებ სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოყენებული მიდგომების შესახებ მასალები
- შიდა ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით სემეკის მონაცემთა საჭიროების შესახებ ანგარიში

წევრი ქვეყნის ექსპერტებისა და მუდმივი უცხოელი მრჩევლის ნებაყოფლობითი მონაწილეობით მიღწეული იქნა შემდეგი დამატებითი შედეგები:

- პრეზენტაცია თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში
- დამყარდა კონტაქტი დაძმობილების სხვა პროექტებთან

რეკომენდაციები

- მესამე ენერგეტიკული პაკეტის შესაბამისად ენერგეტიკული სექტორის დაყოფა ცალკეულ ფუნქციურ სეგმენტებად
- განახლებადი ენერგიის პოლიტიკის გადახედვა და ენერგო ეფექტიანობის ზრდა, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება
- სატარიფო მეთოდოლოგიის შემდგომი განახლება ამჟამად მოქმედი რეგულირების პრინციპების სრული ასახვითა და ხარჯებზე დაფუძნებული ტარიფებით
- **სემეკის სტატუსისა და უფლებამოსილების ზრდა და განმტკიცება სამართლებრივ დონეზე**

  მარეგულირებელი და მონიტორინგის საქმიანობის სათანადოდ განხორციელების მიზნით, კანონში ცხადად უნდა იყოს გაწერილი სემეკის მოვალეობები და პასუხისმგებლობები.
- **ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურის განვითარება**

  ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, საცალო მომხმარებლებს უნდა გააჩნდეთ ენერგიის მიმწოდებლის არჩევის უფლება. აღნიშნული მოითხოვს ქართული ბაზრის სტუქტურის შემდგომ განვითარებას.
- ორგანიზაციული განვითარების კონცენტრირება შემდეგ ელემენტებზე: სტრატეგია, სისტემები და სტრუქტურა
- შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და შიდა ქსელის დანერგვა მონაცემთა უსაფრთხოებისა და მონაცემთა აღდგენის პრინციპების გათვალისწინებით
- მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის შიდა პროცესების/ პროცედურების გაწერა და მათი მორგება სემეკის შემდგომი საქმიანობისათვის

გრაფიკული გამოსახულება 3:

ლეო კამერდინერი და როლანდ გორლიხი (წევრი სახელმწიფოების ექსპერტები)